2019

„მომავლის ბანაკი“ შაორში

სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი“

„სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“

პროექტი „მომავლის ბანაკი“ შაორში

სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი“ არის საქართველოს მთავრობის სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც სამთავრობო სამოქმედო გეგმისა და ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად მუშაობს ახალგაზრდული საქმიანობის სტრატეგიული მიმართულებებით, რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფს კულტურული, შემოქმედებითი და რეკრეაციული პროგრამების რაოდენობისა და მასშტაბების ზრდის ხელშეწყობას. აღნიშნული სტრატეგიული მიმართულებების შესრულების მიზნით ხორციელდება პროგრამა „მომავლის ბანაკი“, რომელიც გულისხმობს საზაფხულო და ზამთრის ბანაკების ორგანიზებას მთელი საქართველოს მასშტაბით, ასევე საერთაშორისო ბანაკების განხორციელებას.

სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი“ პროგრამა „მომავლის ბანაკის ფარგლებში ახორციელებს პროექტს „მომავლის ბანაკი“ შაორში. პროექტში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებს, რომლებსაც შესაძლებლობა ექნებათ ჩაერთონ სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო, შემეცნებით, სპორტულ და მოხალისეობრივ აქტივობებში.

- ბანაკი მიზნად ისახავს:

  - ახალგაზრდების ჩართვას რეკრეაციულ, საგანმანათლებლო, სპორტულ და შემეცნებით აქტივობებში;
  - ქვეყანაში მოხალისეობრივი საქმიანობის წახალისებას, ახალგაზრდებში მოხალისეობის შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და მათ გააქტიურებას/ჩართვას სხვადასხვა ტიპის აქტივობებში.

ბანაკის ფარგლებში ყველა აქტივობა დაგეგმილი იქნება ბენეფიციართა ინტერესების შესაბამისად და მოიცავს, როგორც საგანმანათლებლო, ისე შემეცნებით კომპონენტს.

ტრენინგები შედგება სამოქალაქო საზოგადოებისთვის აქტუალური თემებისგან. ბანაკში გაიმართება სპორტული ტურნირები სხვადასხვა სახეობებში.

სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ 18-25 წლის ახალგაზრდები, რომელთაც აქვთ უმაღლესი ან პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის სტატუსი.

განაცხადების შესაბამისად ბანაკში მონაწილეობას მიიღებს 792 ახალგაზრდა სქესთა ბალანსის დაცვით.

2019 წელს ბანაკი 8 ნაკადად განხორციელდება, ნაკადის ხანგრძლივობა - 5 დღე, თითოეულ ნაკადზე ჩაერთვება 132-მდე ბენეფიციარი და სულ მონაწილეობას მიიღებს 1056-მდე ახალგაზრდა.

- საცხოვრებელი გარემო

ბანაკის მონაწილეები განთავსდებიან 12 ადგილიან საცხოვრებელ კოტეჯებში; ტერიტორიაზე სველი წერტილები მდებარეობს ცალკე მდგომ შენობაში; მონაწილეები მიიღებენ ოთხჯერად კვებას მათი ასაკობრივი კატეგორიის შესაბამისი კალორაჟით; საკვების უსაფრთხოებას და საჭირო რაოდენობის მიღებას ყველა მონაწილისათვის გააკონტორლებს კვების ექსპერტი; ტერიტორიის უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ დაცვის პოლიციისა და კრიმინალური პოლიციის თანამშრომლები; ბანაკის განხორციელების პერიოდში საბანაკე ტერიტორიაზე მუდმივად იქნებიან შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმი და ექთანი, რომლებიც 24 საათის განმავლობაში მოემსახურებიან ბანაკს და უზრუნველყოფენ პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას.

პროგრამა „მომავლის ბანაკის“ მიმდინარეობის პერიოდში ბანაკის განხორციელების ტერიტორიაზე დაუშვებელია:

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკული საშუალების შეტანა-მოხმარება; ბანაკის ტერიტორიაზე ალკოჰოლური და/ან ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების, თრობის მდგომარეობაში ყოფნა;

● ცივი იარაღის ან/და ნებისმიერი ბასრი საგნის შეტანა;

● მედიკამენტების შეტანა, გარდა ექიმის დანიშნულებით გათვალისწინებული საშუალებებისა, სპეციალური ფორმის (დანიშნულების ფურცლის) თანხლებით;

● ბანაკის ტერიტორიაზე მოწევა დასაშვებია მხოლოდ სპეციალურად გამოყოფილ ადგილებზე;

● ბანაკის კვების რაციონით გათვალისწინებული მენიუს გარდა სხვა საკვების შეტანა და მიღება, გარდა განსაკუთრებული საჭიროებების შემთხვევებისა – სპეციალური დიეტა და სხვა;

● ბანაკის ნებისმიერი მონაწილის მიერ ბანაკის ტერიტორიის დატოვება, გარდა გადაუდებელი სამედიცინო აუცილებლობისა;

● ბანაკის ტერიტორიის დატოვება შესაძლებელია ბანაკის მონაწილის წერილობითი განცხადების საფუძველზე, რომელიც დამოწმებული იქნება ბანაკის ხელმძღვანელის მიერ;

● ბანაკის ინფრასტრუქტურისა და ინვენტარის განზრახ დაზიანება/განადგურება;

● საცხოვრებელი ოთახის დატოვება ღამის 12:30 საათიდან დილის 8 საათამდე, გარდა აუცილებელი საჭიროებებისა (იგულისხმება სამედიცინო დახმარება ან ფორსმაჟორული სიტუაცია);

● ბანაკის ყველა მონაწილე ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ბანაკის ადმინისტრაციას რომელიმე ბენეფიციარის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შესახებ.

ბანაკის რეგლამენტით დადგენილი წესების დაცვა სავალდებულოა პროგრამაში მონაწილე ყველა პირთათვის და ამ წესების დარღვევა ითვალისწინებს მონაწილის (ბენეფიციარის, ლიდერის ან სხვა ნებისმიერი პირის) დათხოვნას ბანაკიდან.

შაორის „მომავლის ბანაკში“ მონაწილეების მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმუნტაცია:

1. პირადობის მოწმობის ასლი;
2. ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა (ფორმა 100);
3. უმაღლესი/პროფესიული სასწავლებლის სტუდენტის სტატუსის შესახებ ცნობა.

ასევე, საჭიროა ელექტრონულ ბაზაში თითოეული მონაწილის შესახებ ინფორმაციის შევსება. (იხ.დანართი).

- გეოგრაფიული არეალი

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, შაორის ტბის მიმდებარე ტერიოტორია.